სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ. ... 60 კაპ.

მოკავშირეთა სტამბოლსა და ბუდაპეშტში შევიდნენ. გერმანიის მთავრობა რუსეთისაგან პასუხს მოითხოვს ელჩების დაპატიმრების გამო. ინგლისის პალატის არჩევნები დანიშნულია დეკემბრის 14. ლორდთა პალატაში კერზონმა სთქვა: არც ერთი გერმანელი არ უნდა შემოუშვან ინგლისში. საფრანგეთს გერმანიასთან ომის განგრძობა სურს.

დღეს საქართ. პარლამენტის სხდომაა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს. თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9-3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებულნი გიორგი პეტრეს ძე, პეტრე გიორგის ძე, ეკატერინა გიორგის ასული და ვასილ გიორგის ძე ცაგარლები, მიხეილ მაქსიმეს ძე კილაძე და მარო გიორგის ასული სულიკოვისა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს პირველი მეუღლისა, მეორე, მესამე და მეოთხე საყვარელი დედის, მეხუთე დის და მეექვსე მამიდის

ელისაბედ მაქსიმე კილაძის ასული ცაგარლის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება ქ. ტფილისში, სამშაბათს, ნოემბრის 26 ს (ახალი სტილი) ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, ჩერქეზოვის მოედანი № 5. 2460

გულდამწვარი დედ-მამა: ვასილ მურზაყანის ძე და სოფიო ალექსანდრეს ასული ხარაძეები, პატარა და-ძმანი: ვასიკო და ნადია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ ნოემბრის 24-ს უდროოდ გარდაიცვალა უსაყვარლესი შვილი მათი და და, ქალთა მე-2 გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფე

თამრიკო.

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება დღეს, ნოემბრის 26-ს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან: ელისაბედის ქ., 176, დიდუბის ეკლესიაში

ღრმად დამწუხრებულნი, ბიძა,—კირილე ბეჟანის ძე და ბიცოლა,—მარინე კიმოთეს ასული ხარაძეები, გულმოკლულნი ბიძაშვილები: ქეთო, არჩილ, ნინო, თამრიკო და გენო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ნოემბრის 24-ს უდროოდ დაჰკარგეს მათ ძვირფასი ძმისწული და ბიძაშვილი

თამრიკო ხარაძე

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, ნოემრის 26-ს, დილის 10 საათზე. 2459

პორუჩიკი დათიკო თომას ძე ხარაძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი ბიძაშვილის მე 2 გიმნაზიის მე 5 კლასის მოწაფის

თამარ ხარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2461

სამშაბათს, ნოემბრის 26 კოჯორში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი 1 კურსის მსმენელ ქალისა

მარიამ იაკობის ასულ ასრიევის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქული დედა ეკატერინე ალექსის ასული ასრიევისა 2435

მღვდელი ხარლამპი ნიკოლოზის ძე ხუციშვილი და ეკატერინე გიორგის ასული ხუციშვილისა შვილებითურთ: ეკატერინე, გიორგი, მიხეილ და ილია მჭედლიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ პირველნი შვილისა, მეორენი ძმისა და უკანასკნელი დისწულისა. რომ ტრაღიკულად კარდაცვალებულის კიევის საკომერციო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტ

ნიკოლოზ ხარლამპის ძე ხუციშვილის

წლის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ნოემბრის 26 (ახალი სტილით) ჩუღურეთის წმ ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე 2449

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, ნოემბრის 26-ს,

ტ. ხაბანეევის, ბ. ზალიპსკის, ფ. პოლიევის და ვ. ნიკოლსკის მონაწილეობით

სევილიელი დალაქი

ოპ. 3 მოქმ. მუს. როსსინისა.

ხუთშაბათს, ნოემბრის 28-ს

მ. ალეშკოს, მ. კანშინის, ლ. ისეცკის მონაწილეობით

ჟიდოვკა.

შაბათს, ნოემბრის 30-ს,

ტ. ხაბანეევის, ტ. ორძას, ზალიპსკის და ისეცკის მონაწილეობით

რიგოლეტო

ოპერის წარმომადგენელი ს. ევლახიშვილი.

დეკემბრის 8-ს, დღისით 12 საათზე მოხდება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

წლიური კრება

ბინა კრებისა გამოცხადდება შემდეგ. 2458

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ. ნოემბრის 26-ს

დიდი წარმოდგენა

„ნონ პლიუს ულტრა“

მონაწილეობს იაპონელთა დასი, ჯამბაზები, კინტო და სხვები.

ანონსი: ოთხშაბათს, გაიმართება ბენეფისი ვუდისა და მაის.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2453

განცხადება

სახალხო განათლების სამინი ტროს ნებართვით,

მოზრდილ ქალ-ვაჟთათვის (წლოვანება განუსაზღვრელია)

გაიხნას ყაზბეგის ქუჩაზე, № 18.

საღამოს ქართული გიმნაზია

(Вечерная гимназія для взрослыхъ),

სახელმწიფო გიმნაზიის პროგრამით. ✦ სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე

თხოვნების მიღება გრძელდება

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გიმნაზიის კანცელარიაში, საღ. 5—7 საათამდის

5457 გიმნაზიის გამგე ა. იოანე.

განცხადება

პირველ დეკემბრიდან სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილება, სამხედრო მინისტრის განკარგულებით, გამოსცემს ყოველ-კვირეულ სამხედრო ოფიციალ ჟურნალს, სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულს „რესპუბლიკის ჯარს“.

ჟურნალს ექნება ორი განყოფილება: ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება ბრძანებები სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ, ჯარების მიმართ და წესდებები, და არა ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, ფელეტონები მეცნიერების ყოველივე დარგიდან, პრესის მიმოხილვა კვირიდან-კვირამდე და ქრონიკა. ჟურნალი სურათებიანი იქნება და ეღირება ცალკე ნუმერი 1 მ. 50 კაპ. ხელის მომწერთ ჟურნალი დაეთმობა: ერთი წლით 52 მანეთად, ნახევარი წლით 25 მანეთად და სამი თვით 13 მანეთად. ხელის მომწერლებმა ფული უნდა გაუგზავნონ ჟურნალის რედაქციის მოლარეს, კაპიტან გიორგაძეს.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 10—3 საათამდე.

რედაქცია მოთავსებულია სამხედრო სამინისტროში, ბარიათინსკის ქუჩა ტელეფონი 5—13. 2436

ტფილისი, ნოემბრის 26.

ჩვენი დამოუკიდებლობის საფრთხე

საქართველოს მდგომარეობა ისევ რთულდება. ჩვენ თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში ვვარდებით, რანაირშიაც ვიყავით მაისში. ჩვენი ბედი შეიძლება არა საბოლოვოდ, მაგრამ მაინც სწყდება დღეს. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა საფრთხე მოგველის და მთელი თავის ენერგიით გაუმკლავდეს იმ ახალ ძალას, რომელიც ჩვენი თავისუფლების დათრგუნვას ჰლამობს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინგლისელები ბაქოში შემოვიდნენ, ადერბეიჯანის მთავრობა იქიდან გამოდევნეს და ფაქტიურად გააუქმეს კიდევაც, აღსანიშნავია აგრეთვე ინგლისელთა გენერლის ტომსონის მარჯვენა ხელის ბიჩერახოვის მოწოდება, რომელშიაც ეს უკანასკნელი კავკასიის ჯარების მთავარ სარდალს უწოდებს თავის თავს და ამბობს, რომ ძველი რუსეთი უნდა აღსდგეს თავის საზღვრებით. გაზეთებში დაბეჭდილია ვითომდა ტომსონის მიერ ხელმოწერილი პროკლამაცია, სადაც დაახლოვებით იგივეა აღნიშნული და დადასტურებული. მთლიანი რუსეთი უნდა აღსდგეს და „კავკასია უნდა დავამშვიდოთო“. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს და ნამდვილია თუ არა ეს მოწოდება, მაგრამ საერთოდ ჩვენს დამოუკიდებლობას რომ საფრთხე მოელის—ეს კი ცხადია. ინგლისის იმპერიალიზმი პირდაღებული მოისწრაფის ჩვენსკენ და გადაყლაპვას გვიპირებს.

ჩვენ მტერთა ბანაკში სიხარულის ჟრიამული და ყიჟინაა. გაზეთები სავსეა წერილებით და ყალბ ცნობებით „რუსეთის მთლიანობის“ შესახებ და ყვავებივით დასჩხავიან ჩვენს დამოუკიდებლობას. ჩვენ ჯერ არ ვიცით, ნამდვილად რა აზრისაა ინგლისის მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის ხალხი წინააღმდეგი არ შეიძლება იყოს ვისიმე თავისუფლებისა. მაგრამ პირსისხლიანი იმპერიალიზმი ყველგან იმპერიალიზმია და ეხლა გენერალი ტომსონი აპირებს ჩვენს და საზოგადოდ კავკასიის „დამშვიდებას“, მას წარმოუდგენია, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შედეგია არა ქართველი ხალხის ნებისყოფისა, არამედ შექმნილია ძალდატანებით გერმანიის მიერ „თავის მიზნებისათვის“ ეს მაშინ, როდესაც ამდენი სისხლი დავღვარეთ და ამდენ გზრეში და შინაურ მტერთან მოგვიხდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ეს საცინლად აგდებაა ყოველგვარ ადამიანობის პრინციპისა. იმპერალიზმის საბუთი ხომ ხოველთვის ვისიმე „დამშვიდებაა“, რათა ლუკმა უფრო დამრგვალებული იყოს და კეთილ გადასაყლაპი.

ჩვენ პატარა ერი ვართ და რომ მოვინდომოთ კიდევაც, ვერავის დავჩაგრავთ, მაგრამ იმდენი მაინც შეგვიძლიან რომ თავი დავიცვათ და მორჩილად ქედი არავის მოუხაროთ. თუ ინგლისელი გენერალი მეგობრად მოდის ჩვენთან, მაშინ სიხარულის მეტი არა გვმართებს რა და ჩვენც ყოველის ღონით დავეხმარებით, მაგრამ თუ იგი მოდის როგორც მთლიანი რუსეთის აღმდგენელი, ესე იგი, მოდის როგორც მტერი საქართველოს დამოუკიდებლობისა—მაშინ ხურას უკაცრავად თუ სხვებსავით მორჩილად ფეხ-ქვეშ არ გავეგოთ. თუ იგი ამსრულებელია ინგლისელ იმპერიალისტების მიზნებისა, რომელთაც ჩვენი ქვეყანა და რუსეთიც უნდათ საწველ ფურად გადააქციონ, ფულის გულისთვის მახვილი ჩასცენ პატარა ერის თავისუფლებას მაშინ ჩვენ თავს დავიცავთ. არავითარი ინტერესი თვით ინგლისის ხალხისა, არ მოითხოვს ამას, მხოლოდ გაუმაძღარი იმპერიალისტების სანუკვარია ყველას დამონება და სისხლის წოვა. ამ შემთხვევაში საფრთხე მოელის ყველაფერს იმას, რისთვისაც ესეოდენ დიდი მსხვერპლი გაგვიწირავს: რევოლიუციის მონაპოვარს, მიწის საკითხს, მუშათა მდგომარეობას და თუ ტომსონის განზრახვანი ასრულდა—ისევ ძველი მონობა, თვითმპყრობელობა დაგვიბრუნდებოდა. იგი ზრუნავს რუსეთის „აღდგენისათვის“, მაგრამ არა დემოკრატიული და სოციალისტურ რუსეთისათვის, არამედ დრაგომიროვის თუნდ მილიუკოვის რუსეთისათვის, რომელიც ამ ბოლო დროს გამონარქისტდა. ტომსონის ზრახვათა ასრულება სამუდამო დაღუპვა იქნება ჩვენი ყოველგვარ თავისუფლებისა. ჩვენ ყველას უნდა ვუჩვენოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მასხრობა კი არ ყოფილა არამედ სერიოზული და უდიდესი აქტი იყო ქართველი ერის ცხოვრებაში. თუ დღეს ჩვენ მას დავკარგავთ, დიდის ხნით დაგვეხშობა კარები თავისუფლებისა და გაგვიქრება ყოველგვარი ნასახი რევოლიუციის მონაპოვრისა. ისევ ძველი ჟანდარმები და დერჟიმორდები გაგვიმეფდებიან და ისევ ძველებური მონობა და დამცირება იქნება. ნუ ჰქნას განგებამ!

ქართველი ერის პირდაპირი მოვალეობაა იფიქროს თავის დაცვაზე და ყოველგვარ ავანტიურას შესაფერად დაუხვდეს, ვამბობთ ავანტიურას, რადგან ჯერ თვით ინგლისის მთავრობის აზრი დანამდვილებით არ ვიცით. მთავრობამ უნდა იზრუნოს ხალხს აუხსნას მდგომარეობა და ისიც, თუ რა ვერაგულად აპირებენ „ხალხთა თავისუფლებისათვის“ მებრძოლნი პატარა საქართველოს დაჩაგვრას. აქ არავითარი მორიდება არაა საჭირო. მეტი რაღა დაგვრჩება, რომ წავგვართვან, თუ დამოუკიდებლობის მოსპობას მოგვინდომებენ. ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა ხალხს აუხსნან მოსალოდნელი საფრთხე და მოუწოდონ ბრძოლისაკენ, თავდაცვისათვის. სულ ერთია, ვინ დაემუქრება მას.

ვიმეორებთ, ჩვენ ნეიტრალური ქვეყანა ვართ და არავის არაფერს ვუშავებთ. მაგრამ თუ იმპერიალისტები მოინდომებენ ძველ მონობაში ჩაგვაგდონ და დასცენ ჩვენი რესპუბლიკა და რევოლიუცია, მაშინ ჩვენ ვიბრძოლებთ. დეე ჩვენ დავმარცხდეთ, მაგრამ დეე ჩაიდინონ ძალადობა პატარა ერისადმი, დეე დაინახონ, რომ ჩვენს რესპუბლიკას დამცველი ჰყავს. გენერალი ტომსონები და ბიჩერახოვები ძველისაკენ დაბრუნებას თუ მოინდომებენ —ჩვენს გვამებზე უნდა გადაიარონ. და მაშინ დაინახავენ, რომ ყველგან დამარცხებულ და კუდამოძუებულ ბიჩერახოვის რეაქციონერებისათვის საქართველოს დამარცხება არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთს ჩვენს მტრებს ჰგონიათ...

რევოლიუციის ლოღიკა

გერმანიის რევოლიუციამ განვლილი დღეები ცხოვლად მოგვაგონა. იგივე ნაცნობი სახელები, იგივე ბრძოლა ზომიერთა და უკიდურესთა, იგივე დასაწყისი, მცირე მსხვერპლი! ამ რამდენიმე ხნის წინად ვინ წარმოიდგენდა, თუ გერმანიის ხალხი, რომელიც თითქოს თავის იმპერატორს ლოცულობდა—ასე უცბად გადიგდებდა მონობის უღელს და უარჰყოფდა იმას, რასაც გუშინ ნებსით თუ უნებლიედ თაყვანსა სცემდა. მაგრამ ფაქტი თვალწინ გვაქვს—გერმანიის ნახევრად ფეოდალური და კონსტიტუციით შელამაზებული აბსოლიუტიზმი აღარ არსებობს.

ბევრს კიდევ აღეძრა საკითხი: რა ხასიათის არის ეს რევოლიუცია, რას უნდა მოველოდეთ მისგან? ესეც ძველი საკითხია. უპირველესად ყოვლისა, შემცდარია ის შაბლონური თქმა, თითქოს რევოლიუცია პოლიტიკური ან სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური იყოს. ასეთი გაყოფა ყოვლად მიუღებელია. შეიძლება რომელიმე რევოლიუცია პოლიტიკურ მიზეზით იყოს გამოწვეული, მაგრამ იგი ყოველთვის ამასთანავე ერთად სოციალურიც არის— ე. ი. სცდილობს შესცვალოს არსებული ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობა—განწყობილება. გერმანიის რევოლიუცია მართლაც გარეგნად პოლიტიკურმა მომენტმა— ფრონტზე დამარცხებამ შექმნა. ხალხმა მოიშორა ის წეს-წყობილება, რომელმაც ამდენი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ბოლოს ერს საშინელი სირცხვილი და დამცირება მიაყენა. მაგრამ მას, უეჭველია, დიდი სოციალური გარდაქმნაც მოჰყვება.

ამ გარდაქმნისათვის გერმანიაში უფრო მეტი ნიადაგია, ვიდრე ჩამორჩენილ რუსეთში იყო, სადაც ეგრედწოდებულმა немедленные соціалист-ებმა უკვე დაამყარეს ამ ქვეყნიური სამოთხე სოვდეპიის სახით. მაგრამ იქაც, უეჭველია, ეს რევოლიუცია ამ ჟამად ვერ განახორციელებს სოციალიზმს და ბოლოს და ბოლოს ხელში შერჩება ის, რის განხორციელებაც ნამდვილად დღეს-დღეობით შეიძლება—სოციალური რეფორმები და დემოკრატიული წეს-წყობილება.

ბევრსა ჰგონია, რაკი გერმანიის ხალხი დისციპლინიანი, დაკავშირებული და კულტუროსანია—იქ ადგილი არ ექნება ბოლშევიზმის მსგავს მიმართულებას. მაგრამ ჩვენ ამას ძლიერ დიდის ეჭვით უყურებთ და მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ ყველაფერი ისე წესიერად არ წავა, როგორც პირველ ხანებში მიდის. რასაკვირველია, გერმანიაში ისეთი ბარბაროსობა არ იქნება, როგორიც ველურ რუსეთში, მაგრამ უკიდურესობა იქაც მოსალოდნელია.

რუსეთის რევოლიუციაც ხომ ასე იყო: უსისხლოდ, უდავიდარაბოდ დაიმსხვრა საუკუნოებით განმტკიცებული შენობა თვითმპყრობელობისა. და ჰფიქრობდი: თუ კი ამდენი ხალხი, დღეს რომ ყველა გზა-ჯვარედინზე გაჰყვირის, უკმაყოფილო იყო ძველის რეჟიმისა—ნეტა ვინღა იცავდა მას და რას ემყარებოდა ეს უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მექანიზმი!

მაგრამ უცნაურია მასსა. ლებონის თქმისა არ იყვეს, იგი საუკუნეთა განმავლობაში ძლიერ ნაკლებად იცვლება, მაგრამ ზოგიერთ მომენტში საოცრად ელასტიურია. ამიტომ არაა საკვირველი უცბად ყველას „გასოციალისტება“ და „გარევოლიუციონერება“.

გერმანიაშიაც უსისხლოდ მოხდა რევოლიუცია.

რუსეთშიაც ხომ კვეხულობდნენ უსისხლო რევოლიუციით მაგრამ დაღვრილა სადმე განა იმდენი სისხლი, რამდენიც იღვრება ყოფილ რუსეთის თვალუწვდენ ტერიტორიაზე? ჩვენც ხომ ასე გვეგონა: დამოუკიდებლობა ადვილად მოვიპოვეთ თქო. ეს მართალია, მაგრამ რამდენ აჯანყებასთან რამდენ წინააღმდეგობასთან მოგვიხდა ბრძოლა და რამდენათ კიდევ მოგვიხდება. ჭეშმარიტად მართალი იყო ბისმარკი: დიდი საკითხები რეზოლიუციებით და კენჭის ყრით კი არა, რკინითა და სისხლითა სწყდება!

და რომ ისე იქნება გერმანიაშიაც, ამის ნიშნები უკვე სჩანს: „სპარტაკის“ ჯგუფი (ლიკბნეხტისა) განმარტოებით სდგას და ბოლშევიკურ აგიტაციას ეწევა მას გამოუქვეყნებია შემდეგი პროგრამა: საბჭოების ხელ ახალი არჩევა, ათი მოწყობა რუსეთის საბჭოების სახით. დაუყოვნებლივ კონფისკაცია ყოველგვარ ქონებისა, მოწვევი გერმანიის მუშათა კონგრესისა, რათა გერმანიის სოციალისტური რევოლიუციას მსოფლიოს პროლეტარიატი გამოესარჩლოს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჯარის დაშლას და გაზრწნილების დასაწყისს, უნდა აღვიაროთ რომ დაღლილი, დაქანცული, ნახევრად შიმშილობაში მყოფი მასსა „სპარტაკის“ ჯგუფს დროებით გაჰყვება. ასეთია ლოღიკა რევოლიუციისა. მან უნდა ბოლომდე ამოსწუროს ყოველგვარი შესაძლებლობა. სანამ ძლიერი წინააღმდეგობა არ შეხვდება, ან თვით მასსაში არ მოხდება შინაგანი გარდატეხა.

ვიმეორებთ, მასსის ფსიხოლოგია ნელათ იცვლება ც მე მაგონდება ერთი მაგალითი, ტაციტს რომ აქვს აწერილი. ... მოხდა იმავე რეინის სანაპიროებში, ახლა რომ გამორბის და საშინელი დეორგანიზაცია შეაქვს ყველგან. როდესაც რომაელთა ჯარის უფროსი გერმანიკი სხვაგან წავიდა, ქვემო რეინზე მდგომი ლეგიონები აჯანყდნენ. პირველად ცენტურიონები, (ასისთავები, აფიცრები) გაჰხდნენ მეამბოხეთა მსხვერპლად ამბობს ტაციტი. ნაცემნაგვემთ, მათ მოსვენება ჰპოეს რეინის ტალღებში, ან ლაგერების ზღუდეთა გადაღმა. შემდეგ ჯერი მიდგა ტრიბუნებსა და სხვა სამხედრო პირებზე. აქ უფრო სასტიკათ მოეპყრნენ და უწყალოდ დაჰხოცეს შემდეგ ყველაფრის უფროსობა თვითონ იდვეს თავსაო.

თითქოს ახლანდელი გაზეთის ქრონიკაა! და გერმანიის ჯარშიაც, ხომ არის მსგავსი რამ და ისიც, რითაც რუსის ჯარის დაშლა დაიწყო: პაგონების და კოკარდების აგლეჯა; თითქოს ყოველგვარი ბოროტება ამაში ყოფილიყოს მოთავსებული!

ერთი სიტყვით, ჩვენ მრავალგვარ მოულოდნელობასთან გვექნება საქმე. და უეჭველია, გერმანიაში დამყარდება დროებითი დიქტატურა რომელსამე კლასისა, რის შედეგებიც ეხლავე შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ყოველგვარ მოვლენას თავისი კანონები ჰქონია და იგი კანონი ბევრჯერ გარდაუვალ ხასიათს ღებულობს.

ჩვენ ვის, სოციალისტ-ფედერალისტებისთვის, ყოველგვარი დიქტატურა, ვისიც უნდა იყოს იგი—მიუღებელია, ჩვენ გვესმის კლასთა ბრძოლა, მაგრამ მომავალი წესწყობილების დამყარება ვისიმე დიქტატურით—ყოვლად შეუძლებელია. მიტომ რომ კარგათ ვიცით ჩვენი პროგრამის შემდეგი დებულების სიმართლე: სოციალიზმი საჭიროა მთელი საზოგადოებისათვის. სოციალიზმი წარმოშობით კლასიურია, ხოლო იდეალი, რომელსაც ანხორციელებს, არა კლასიური.

ვიმეორებთ, როგორც სხვა რევორევოლიუციები, გერმანიის რევოლიუციაც უკიდურესობამდე მივა, მაგრამ ეს აუცილებელი ეტაპია. რის შემდეგაც დადგება თანასწორობა და კაცობრიობა წავა იმ ხაზით, რომელსაც მიზნად აქვს მთელი ხალხის ბედნიერება და არა რომელსამე კლასის გაბატონება და დიქტატურა.

ქ. რაჭველიშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ლტოლვილნი

ლტოლვილთა საქმეების თავმჯდომარე არღუთინსკიმ წალკისა და ბაკურიანის ლტოლვილთა რწმუნებულებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება დროებით შეჩერებულია შექმნილ პოლიტიკურ პირობათა გამო. უთავშესაფარო ლტოლვილნი მთავრობის ნებართვით მოთავსდებიან მანგლისსა და ალგეთში. ამ რაიონებში მათთვის ბინების საშოვნელად შესდგა კომისია. ამ ადგილეში პირველ რიგში გაიგზავნებიან ცის ქვეშ მყოფი ლტოლვილნი.

ჯავახელი ლტოლვილნი.

კახეთის რკინის გზის უფროსმა გზათა მინისტრს დეპეშით აცნობა, რომ 23 ნოემბერს სიცივით შეწუხებული საგარეჯოს მახლობლად დაბანაკებული ჯავახელი ლტოლვილები მიაწყდნენ საგარეჯოს რკინის გზის სადგურს და ძალით დაიჭირეს იგი. თუ ზომები დროზე არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია მათგან ძალმომრეობა გზის მოსამსახურეების წინააღმდეგათ. რკინის გზის უფროსის განკარგულებით გ მოთხოვილია ათი ვაგონი ლტოლვილთა ბადიაურში გადასაყვანად მათი რიცხვი 2,000 მეტია, გზის უფროსი სთხოვს სამინისტროს საჩქარო ზომებს.

ბათომში.

ინგლისელების მელკონში ოსმალოები ძლიერ მტრულად ეპყრობიან ბათომის ქართველებს და ბევრს ატუსაღებენ კიდეც. უკანასკნელ დღეებში დაატუსაღეს და ჟანდარმების თანხლებით ტფილისში გამოგზავნეს ექიმი კ. მხეიძე და ბათომის ქალაქის თვითმართველობის მდივანი გ. ელიავა. ამის გამო ბათომის ქალაქის თვითმართველობამ პროტესტი განაცხადა. ოსმალოები თავიანთ ჯარებს მუდამ დღე ნაწილობრივ ჰგზავნიან სტამბოლში. აჭარლები სიხარულით ელიან ოსმალთა წასვლას.

საქართველოს პარლამენტი

(სამშაბათი. ნოემბრის 22).

(გაგრძელება)

მომხსენებელი ლ. ნათაძე (სასკოლო კომ. წევრი). ბატონებო! მემარჯვენეებს ჰგონიათ, რომ მთელი ზნეობა მათ ჯიბეში უდევსთ და შეუძლიანთ ჩვენ გვასწავლონ. აფხაზმა, ქარუმიძემ და კედიამ ასე დააყენეს საკითხი; ჩვენ სოციალისტებს გვინდა სარწმუნოება და ზნეობა გავანადგუროთ. ქარუმიძემ ისიც ბრძანა თქვენ გინდათ სინიდისის თავისუფლება კი არა, ყოველგვარი სინიდისისაგან განთავისუფლებაო. თუ ასე დააყენებთ საკითხს, მაშინ უნდა განვიხილოთ, თუ რა არის სინიდისი და მოვიყვანოთ მაგალითები (რ. გაბაშვილი ადგილიდან: „რად მინდა მაგალითი, სულ მაგალითი არა ხართ!“ და უთითებს ს.-დ. სკამებისკენ). ავიღოთ მაგალითად ყაჩაღობა. როგორ გვესმის ყაჩაღობა ჩვენ და მემარჯვენეებს? აქამდე ურწმუნოთა ფულით მორწმუნეებს ასწავლიდნენ სალვთო სჯულს. ეს იყო ყაჩაღობა, ჩვენ ასე გვესმის. ხოლო მემარჯვენეებს ისე ესმისთ, რომ ყაჩაღობაა, როდესაც ჩვენ ამ ყაჩაღობას ვსპობთ. შ. ქარუმიძემ ბრძანა: სარწმუნოებას ღრმა ფესვები აქვს გადგმული ხალხშიო. ბატონებო! თუ ეს ასეა, მაშინ რაღაა აქ სადავო: ხალხს შეუძლია სალვთო სჯული ასწავლოს, გახსნას სკოლები და სხვა ამისთვის, რადგან სალვთო სჯული განდევნილი იქნება სახელმწიფო სკოლიდან. იმავე ორატორმა სთქვა: სად გაგონილა, ჯერ სკოლიდან განდევნოთ სალვთო სჯული და შემდეგ გამოჰყოთ ეკლესია სახელმწიფოსო. ეს არ არის სამართალი. საფრანგეთში მაგალითად სალვთო სჯულის სწავლება მოსპეს 1882 წელს, ხოლო ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს შემდეგ, 900-იან წლებში. მეორე ორატორმა, სპ. კედიამ გვისაყვედურა: ხალხისათვის არ დაგვიკითხავთ და ისე ვსპობთ სალვთო სჯულის სწავლებასო. ბატონებო! ყოველი პარლამენტის აპრიორული პრინციპია, რომ პარლამენტი ხალხის სურვილების გამომხატველია. ყველა კითხვის შესახებ რეფერენდუმს ვერ მოვახდენთ: ამას მხოლოდ უდიდესი საკითხების განხილვის დროს მივმართავთ. რაც შეეხება იმას, რომ კანონპროექტი ნაჩქარევად, დიდის სისწრაფითა და სიმკაცრით, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ამ კანონპროექტში ჩვენ დაუშვით ბევრი კომპრომისი, რომელიც მემარცხენეებს არ სჩვევიათ: 1) მუსულმანებს დაუტოვეთ შარიატი, 2) მშობლებს ნება აქვთ ასწავლონ სალვთო სჯული და 3) სალვთო სჯულის დათხოვნილ მასწავლებლებს ეძლევათ სალიკვიდაციო ჯილდო. ეს კომპრომისები იმის მაჩვენებელია, რომ კანონპროექტი არ არის ნაჩქარევი. დასასრულ უნდა უპასუხო რ. ივანიცკის, რომელმაც გვისაყვედურა—კანონპროექტი არ შემოიტანიათ სარწმუნოების კომისიაშიო: სალვთო სჯულის სწავლების მოსპობის საკითხი არის საკითხი პედაგოგიური და არა სარწმუნოების და ამიტომ იგი არ იქნა შეტანილი სარწმუნოების კომისიაში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება პედაგოგიურ მხარეს საკითხისას და სალვთო სჯულის პროგრამის მოყვანით ამტკიცებს, რომ მეხუთე კლასამდე ასწავლიდნენ ბავშვებისთვის გაუგებარ ლოცვებს, ხოლო მეხუთე კლასიდან საეკლესიო ისტორიას და ზნეობას, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ასწავლიდნენ: უნდა დაემორჩილო ღმერთს, დაემორჩილოს დედას, მამას, დაემორჩილოს მეფეს, ერთი სიტყვით სულ დაემორჩილოს, დაემორჩილოს და დაემორჩილოს (რ. გაბაშვილი: მთავრობას არ დაემორჩილოს?) თან დასძინა, რომ საეკლესიო ისტორია და ფილოსოფია დარჩება სკოლებში, ხოლო არა ძველის სახით, და ასწავლიან მას ისტორიკოსები.

ვიდრე პარლამენტი მუხლობრივად განიხილავდეს კანონპროექტს, შემოდის ორი წინადადება:

1) „ვინაიდან არც სახელმწიფოებრივი და არც პოლიტიკური ინტერესები არ მოითხოვს სალვთო სჯულის სწავლების მოსპობას, რათა ხალხში ამან აჯანყება არ გამოიწვიოს, გადავდოთ მისი განხილვა და ხალხს დავეკითხოთ“ (ეროვნულ-დემოკრატ. ფრაქცია).

2) „სალვთო სჯულის სწავლების კანონპროექტი გადაეცეს სარწმუნოების კომისიას“ (დამოუკიდ. ერ.-დემოკრატ. ფრაქცია).

ორივე წინადადება უარყოფილია.

მომხსენებელი ჰკითხულობს კანონპროექტს მუხლობრივად.

პირველი მუხლი: „ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში მოისპოს სალვთო სჯულის სწავლება და გაუქმდეს სალვთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებობა.“

სოციალისტ-ფედერალისტებს წინადადება შემოაქვთ პირველი მუხლი შეიცვალოს ასე: „მოისპოს სალვთო სჯული სავალდებულო სწავლება. წინადადება უარყოფილია და პირველი მუხლი მიღებული.

მეორე მუხლით იხურება სახაზინო კრედიტი სალვთო სჯულის მასწავლებელთათვის არსებული. მუხლი მიღებულია.

მესამე მუხლი: „შტატს გარეშე დარჩენილ სალვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეს სალიკვიდაციო ჯილდო თანახმად 1918 წლის ივლისის 5-ის კანონისა“. მუხლი მიღებულია უცვლელად.

მეოთხე მუხლი: „მშობლებს უფლება აქვთ შემოიღონ თავისი ხარჯით სალვთო სჯულის სწავლება მასწავლებლის თანხმობით.

შ. ქარუმიძეს შემოაქვს წინადადება, რომ სიტყვა „თავისი“ შეიცვალოს „სახაზინოთი“. წინადადება უარყოფილია.

მეხუთე და მეექვსე მუხლების ძალით მუსულმანთა სკოლებში რჩება შარიატის სწავლება. ეს ორი მუხლი იწვევს მწვავე კამათს.

დოლიძე (ს.-დ.) წინააღმდეგია, რომ შარიატი ისწავლებოდეს მუსულმანთა სკოლებში. შარიატიც იმასვე ასწავლის, რასაც სალვთო სჯული. ასწავლის ღმერთზე, რომელიც არ არსებობს და სხვა.

აბვერდოვი („გუმეტი“) მოითხოვს, რომ „მუხლი დარჩეს ისე, როგორც კომისიამ წარმოადგინა, რადგან სალვთო სჯულის გაუქმება მუსულმანთა სკოლებში თვით სკოლის გაუქმებას უდრისო.

რ. ივანიცკი და შ. ქარუმიძე მოითხოვენ, რომ მუხლები დატოვებულ იქმნას.

მამედ-ბეგ აბაშიძე (ქარ. მაჰმადიანი). სამწუხაროდ, როდესაც მომხსენებელი ლაპარაკობს შარიატზე, იმას წარმოდგენა არა აქვს ამაზე რა არის შარიატი? რა არის ის სულიერი სიძლიერე, რომელსაც ხალხი ჩაკვრია? შარიატი—სამოქალაქო კანონია. საკითხი, საცნებო, მეტად სერიოზულია. მე ძალიან ვშიშობ, რომ შარიატის მოსპობამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს მაჰმადიანებზე და არ გამოიწვიოს ამ ახალ თაობისადმი უნდობლობა. მე მოვითხოვ, რომ ეს მუხლები უცვლელად დარჩეს.

რ. არსენიძე (ს.-დ.) მემარჯვენე სექტორი ყოველთვის იზიარებს სარწმუნოებას, ვისიც არ უნდა იყოს იგი და იცავს მას. საკითხი ყველასათვის ერთნაირად უნდა გადაიჭრას, შეუძლებელია პრივილეგიების შექმნა.

მეხუთე და მეექვსე მუხლები ხმის უმეტესობით ამოშლილია და ამ გვარად შარიატი მუსულმანთა სკოლებში არ ისწავლება.

მეშვიდე მუხლი; „ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა“.

სოც. - ფედერალისტები მოითხოვენ, რომ კანონი მომავალ სამოსწავლო წლიდან შევიდეს ძალაში და ამისთვის მოჰყავთ ტეხნიკური მოსაზრებანი.

წინადადება უარყოფილია.

უარყოფილია აგრეთვე კ. აფხაზის წინადადება, რომ დაევალოს განათლების სამინისტროს, რათა მან მომავალ სამოსწავლო წლისათვის შემოიღოს სკოლებში მორალის სწავლება.

კრება დაიხურა 4 ნახ. საათზე და, რადგან ბევრი საკითხი დარჩა განუხილველი, ინიშნება საგანგებო სხდომა შაბათს, შუადღეს.

შაბათი ნოემბრის 23 სხდომა

შაბათს, ნაშუადღევის 12 ნახევარ საათზე გაიმართა პარლამენტის საგანგებო სხდომა.

იურიდიულ კომისის წევრმა გრ. რცხილაძემ წაიკითხა კანონპროექტი: 1) სახელმწიფო კონტროლის დებულებისა, 2) კონტროლის დროებითი შტატებისა და 3) რევიზიის წესდების პროექტთა დამტიცების შესახებ.

პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მცირეოდენის შესწორებებით.

ზღვის გარეშემო

კიევის განცხადება.

ინგლისური პრესა, 22 ნოემ. ლორდთა პალატაში კიევმა განაცხადა, რომ მტრის მიერ ყველა დატყვევებული და დაპატიმრებული მოქალაქე დაბრუნებულ უნდა იქნეს თავის სამშობლოში. მთავრობას აზრათ აქვს შეიტანოს პროექტი, რომლითაც მას უფლება ექნება გააძევოს უცხოელნი, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს და სხვა და სხვა ქვეყნის ერთა დიფერენციაცია მოახდინოს. კერძოთ კიევი იმ აზრისაა, რომ არც ერთ გერმანელს არ უნდა ექნეს უფლება ფეხი დაადგას ბრიტანიის მიწაზე.

ბელგიის მთავრობა.

მეფე ალბერტმა გადაწყვიტა შეადგინოს ახალი მთავრობა, სადაც ყველა უმთავრესი პარტიის წარმომადგენელი შევა.

მოკავშირეებში.

ფრანგების ჯარი ბუდაპეშტში და სტამბოლში შედის.

ბიტი დილით 21 ნოემ. შეხვდა გერმანიის სამხედრო ფლოტის მთავარს. (დამახინჯებულია), რომელმაც მოკავშირეთ უნდა გადასცეს სამხედრო გემები.

არჩევნები.

საარჩევნო კომპანია ენერგიულათ მუშაობს კანდიდატები ჰაეროპლანებით სარგებლობენ ამომრჩეველთა სანახავად. ჯარისკაცები საფრანგეთში, ბელგიაში და ახლათ დაცლილ ადგილებში ფოსტის საშუალებით აძლევენ ხმას სხვა ადგილებში-კი რწმუნებულთა საშუალებით.

ენვერ-ფაშა ბერლინში.

თალაატ ფაშა და ენვერ-ფაშა, გერმანელ აფიცრის ტანისამოსში გადაცმულები, ბერლინში ჩავიდნენ. გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა დაიჭიროს ისინი და ზავის ჩამოგდებამდე გაიძევოს გერმანიიდან.

მეფის სიტყვა.

ინგლისის მეფის სიტყვა პარლამენტში. ინგლისის მეფემ გულითადი მადლობა განაცხადა იმ თავგანწირვისა და ერთგულებისათვის რომელმაც მოკავშირეებს ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა და მოუწოდა არ შესწყვიტოს ენერგიული მუშაობა იმ დრომდე, სანამ არ აღადგენენ ომის მიზეზით გამოწვეულ ზარალს და ვიდრე აღდგენილ არ იქნება ხალხის კეთილმდგომარეობა. მეფემ იმედი გამოთქვა, რომ ერთსულოვნება, რომელმაც ძალა მისცა ინგლისის ხალხს ომის დროს. არ დაირღვევა და პარლამენტი ენერგიულ მუშაობას გასწევს დისციპლინარულ თავისუფლების მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელათ და ბრიტანიის ხალხის კეთილმდგომარეობისათვის.

რუსეთი და მოკავშირენი.

ინგლისური პრესა 22 ნოემ. ბრიტანიის მთავარი ბანაკი ჩრდილოეთ რუსეთში იუწყება, რომ 19 ნოემ. ბოლშევიკებმა დვინის სანაპირო გემებიდან ყუმბარები დაუშინეს ბრიტანიის და ამერიკის ქვეითი ჯარს გადმოვიდენ შეტევაზე და გვაიძულეს უკან დახევა. დამხმარე სათადარიგო ჯარი და კანადის საველე არტილერიის დახმარებით ბოლშევიკები უკუვაგდეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ.

ფრანგები მეტცში.

საფრანგეთის ჯარი მეტცში შევიდა. მცხოვრებნი აღფრთოვანებით მიეგებნენ ჯარს.

ინგლისელი ტყვეები.

განთავისუფლებული მოკავშირეთა სამხედრო ტყვეები ბელგიიდან ბელგიიდან და გერმანიიდან ნაწილ-ნაწილად ჩამოდიან პარიზში. განთავისუფლებული ტყვეები გამხდარი და შიშველ-ტიტველი არიან.

ბონარ ლოუმ ქვედა პალატაში განაცხადა, რომ ჰააგაში გაგზავნილია დეპეშა გერმანიის მთავრობის მიმართ, სადაც პროტესტია გამოცხადებული ბრიტანიის სამხედრო ტყვეების განთავისუფლების მოუწესრიგობის გამო, რომლის შედეგია აუწერელი ტანჯვა და მრავალი სიკვდილი. ინგლისის მთავრობა მოითხოვს, რომ ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული ამ საკითხის მოსაგვარებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიტანიის მთავრობა იძულებული იქნება მხედველობაში მიიღოს ეს მდგომარეობა გერმანიისთვის სურსათის მიწოდების საკითხის განხილვის დროს... (დამახინჯებულია).

სასურსათო მინისტრმა განაცხადა, რომ არავითარი სურსათი არ გაიგზავნება გერმანიაში სანამ სასურსათო საბჭო არ დააკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას.

ჰინდენბურგის დეპეშა.

ვილჰელმსჰოფეს კოშკში ჰინდენბურგმა მთავარ ბანაკიდან მთავრობას დეპეშით შემდეგი აცნობა: დროებითი ზავის ჩამოგდების კომისია იუწყება, რომ მტრის კომისიის წევრებს, განსაკუთრებით საფრანგეთისას, უარყოფითი ხასიათის პოზიცია უკავიათ, რომ ისინი შეუძლებელ მოთხოვნილებას აყენებენ, საიდგანაც სჩანს, რომ მათ სურთ მოამზადონ იურიდიული საფუძველი ბრძოლის განაახლებლად. მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ლაშქარს, დროებითი ზავის მძიმე პირობების გამო და

იმ ამბების გავლენის გამო, რაც ჩვენ სამშობლოში ხდება, ბრძოლის განახლება არ შეუძლია. და მარტო ერთ საფრანგეთის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება შეუძლებელიც არის მე თავის პირად მოვალეობად ვსთვლი, რომ ამ გარემოებას ხაზი გაუსვა, მით უმეტეს, რომ, როგორც ცხადად სჩანს მტრის ბეჭდვითი სიტყვის შინაარსის ხასიათიდან, შეთანხმების სახელმწიფოთ სურთ ზავი ჩამოაგდონ ისეთ გერმანიის მთავრობასთან, რომელიც უმრავლესობაზე იქნება დაყრდნობილი

გერმანიის ნოტა

შემდეგი ნოტა გაუგზავნეს მოკავშირე სახელმწიფოებს, როგორც დამატებითი ნოტა, რომელიც დროებითი ზავის ხელშეკრულებას ეხებოდა: „ბელგია, საფრანგეთი და ელზას ლორენის ევაკუაცია სამ პერიოდათ უნდა გაიყოს 15 დღე (გამოტოვებულია)... ალბად ეს ხდება იმ მიზნით, რომ ეს ტერიტორია შეუერთონ ელზას-ლორენს, ან ლიუქსენბურგს. გერმანიის კომისიის წევრის პროტესტს ყურადღება არ მიაქციეს. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს ამ ოლქების მითვისების გამო.. (დამახინჯებული და გამოტოვებულია.)..

სკანდინავია და რუსეთი.

სტოკჰოლმის გაზეთი „პოლიტიკენი“ იუწყება, რომ სკანდინავიის ყველა მთავრობა თათბირობს ამ ჟამად რუსეთთან დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ, თავის ელჩების რუსეთიდან გამოძახებაზე და რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა სკანდინავიის ქვეყნებიდან გაძევების შესახებ.

ხალხთა ლიგა.

ინგლისური პრესა. ნოემ 23-ს, ვაშინგტონიდან იუწყებიან: დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიაში საზღვაო საქმეთა სეკრეტარმა დანიელსმა სთქვა, რომ ხალხთა ლიგა და საყოველთაო იარაღის აყრა, მომავლის საკითხია ახლა კი აუცილებელია საზღვაო ძალის გაძლიერება იმ პროგრამით, რომელიც სამი წლით შემუშავდა და რომელსაც მხედველობაში ჰქონდა გაკეთებულიყო კიდევ 10 დრეტნოუტი 6 კრეისერი და 140 სამხედრო გემი.

ბელგიაში.

მოკავშირეთა ჯარი შეუჩერებლად განაგრძობს ბელგიის ოკუპაციას და განაგრძობს გერმანიისკენ სვლას.

ბელგიის უმაღლესი მთავრობა ზეიმით შევიდა ბრიუსელში.

გერმანიის ფლოტი.

ბრიტანიის ფლოტს, ამერიკის საზღვაო ძალის თანდასწრებით, გერმანიამ გადასცა 70 გემი. ამათში 5 ჯავშნოსანი კრეისერი, 7 მსუბუქი კრეისერი და 9 ჯავშნოსანი გემი.

ვილჰელმის ბედი.

საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნა ნოტა სადაც ნათქვამია, რომ მთავრობა დაინტერესებული არაა გასცემს თუ არა ჰოლანდია კაიზერს.

ზავის პირობების გამო.

გერმანელები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ დროებითი ზავის მძიმე პირობების გამო და თან იმედოვნებენ, რომ დამყარებული იქნება სამართლიანი ზავი რომელიც ყველა მოწინააღმდეგეს შეარიგებს და დაარსებს ხალხთა ლიგას, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს ხალხს ომისაგან. იმ შემთხვევაში კი, თუ გერმანია აიძულებს მიიღოს სამარცხვინო და მკაცრი ზავი, შერიგების მაგიერ გაჩნდება შული და შურისძიების მაგიერი გრძნობა.

შვეციის სოც.-დემ. ლიდერმა ბრანტინგმა აცნობა ალბერტ ტომას, რომ იმ შემთხვევაში თუ მოკავშირენი არ შეცვლიან დროებითი ზავის პირობებს, გერმანიის მდგომარეობა აუტანელი იქნება. გერმანიას უნდა დართონ ნება ევაკუაციის და რკინის გზის მასალათა გადაცემა მცირე ხნით დააგვიანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ გამეფდება ბოლშევიზმი, რომელიც ხელს შეუშლის დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას. არსებობს ასეთი წინადადება, რომ ვილსონს, როგორც მთელი ქვეყნის ხალხთა ლიგის შემქმნელს, მისცენ ნობელის საზავო პირობები.

რევოლიუცია გერმანიაში

გერმანია და რუსეთი.

გერმანული პრესა. ნოემ. 22. საბჭოთა მთავრობის რადიო დეპეშის გამო, სადაც გერმანიის ხალხს მოუწოდებენ შეადგინონ პროლეტარული მთავრობა და გერმანიის გენერალური საელჩოების დაპატიმრების გამო გერმანიის მთავრობამ მოსკოვის საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა ნოტა, სადაც მოითხოვს: 1. რუსეთის მთავრობამ იცნოს გერმანიის არსებული მთავრობა და თავი შეიკავოს გერმანიის ხალხზე ძალდატანებაში ახალი მთავრობის შესადგენათ, 2. რუსეთის მთავრობამ განმარტება მისცეს გერმანიის მთავრობას მოსკოვსა და პეტერბურგში გერმანიის გენერალურ საელჩოთა დაპატიმრების გამო. ბერლინში მიიღეს ცნობა, რომ გერმანიის საელჩოს თანამშრომელნი და მათთან ერთად 700 კაცი გამოემგზავრნენ მოსკოვიდან და პეტერბურგიდან და ალბად უკვე გამოიარეს გერმანიის და პოლონეთის საზღვარი.

შეიდემანის განცხადება.

სახალხო კომისარმა შეიდემანმა, რომელსაც ახლა დ-რ ლანდს ერგის ადგილი უჭირავს და რომელმაც პრესის განყოფილება მიიღო, პრესის წარმომადგენელთა პირველ კრებაზე თავისი აზრი გამოთქვა ცენზურისა და დამფუძნებელ კრების შესახებ. ცენზურის შესახებ მან სთქვა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ცენზურა უნდა გაუქმდეს. დამფუძნებელ კრების შესახებ შეიდემანი, ისე როგორც ლამს ერგი, იმ აზრისაა, რომ მთავრობა მოვალეა, რაც შეიძლება მალე, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ამ საქმის გადადება და დაყოვნება ნიშნავს ეროვნულ უბედურებას. რადგან უმისოდ წარმოუდგენელია ზავი. მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დამოკიდებულებაზე შეიდემანმა სთქვა, რომ მოლაპარაკება ძალა-უფლების გაფართოების შესახებ ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მთავრობა, როგორც აღმასრულებელ ძალა-უფლების ორგანო, სრული თავისუფალი უნდა იყოს თავის მოქმედებაში და არ დაუშვებს, რომ მის საქმეში სხვა ვინმე ჩ ერიოს. მოლაპარაკებამ ორშაბათისათვის უნდა გამოარკვიოს მდგომარეობა.

ქარხნები.

ეკონომიურ დემობილიზაციის ცენტრალურმა სამართველომ გამოსცა ინსტრუქციები, რომლის თანახმად იმ ქარხნებმა, რომლებიც წინად სამხედრო მასალებს ამზადებდა, დაუყოვნებლივ უნდა განაახლოს მუშაობა იმ მასალების დასამზადებლად. რომელსაც მშვიდობიანი დრო მოითხოვს. მთავრობამ და მუნიციპალიტეტმა ზომები უნდა მიიღოს და ყოველგვარი დაბრკოლება მუშაობაში უნდა გადალახოს.

ინგლისელი ტყვეები.

ნოემბრის 21-ს ბერლინის კომენდანტმა ოტო ველსმა და სამართლის ცენტრალურ ბიუროს ასისტენტმა დ-რ ოსკარ კოჰნმა ინახულეს რუილებენში ინგლისის დაპატიმრებული მოქალაქენი: მათ ახლდა შვეიცარიელი მოქალაქე ქალი როტეინი, რომელიც ომის განმავლობაში ზრუნავდა პატიმრებზე კომენდანტ ველსმა შემდეგი სიტყვით მიმართა ინგლისელ მოქალაქეთ: „ჩვენი გრძნობა გვაიძულებს გამოვთქვათ მწუხარება იმის გამო, რომ თქვენ უდანაშაულოდ იტანჯებოდით. ძველი რეჟიმი, რომელიც პასუხისმგებელია წარსულზე დაემხო, დემოკრატიული და სოციალისტური გერმანია, რომელმაც მრავალი იტანჯა, თავისი ბედი საკუთარ ხელში აიღო. რამდენადაც შეგვეძლო რევოლიუციის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ დაპატიმრებულ მოქალაქეთა მდგომარეობა გაგვეუმჯობესებინა და ამის შედეგი იყო ის, რომ თქვენ ბერლინში ჩასვლის უფლება მოგეცათ. მთავრობა იმედოვნებს, რომ, როცა თქვენ სამშობლოში დაბრუნდებით, არ წაგყვებათ თან უკმაყოფილობის და შურისძიების გრძნობა.

გერმანიაში.

„ფორვერტს“-მა გამოაქვეყნა დანიის რეიხსტაგის წევრის განზენის დეპეშა, რომელიც მან შლეზვიგის ოლქის ახალ პრეზიდენტს გაუგზავნა: სურსათის სიმცირემ, სიმშილმა და ეკონომიურ დეზორგანიზაციამ გერმანიის ხალხი ამ ჟამად საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა. ამიტომ დანიის საკურფიურსტო ასოციაციის კომიტეტმა და პრეზიდენტმა, ჩრდილოეთ შლეზვიგში მოუწოდა ამ მხარის მცხოვრებლებს მიაწოდოს სურსათი იმაზე მეტი, რამდენიც მათ კანონით ეკავებათ.

სოციალიზაცია

სახალხო საბჭო დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია ყველა ქარხნების და ფაბრიკების სოციალიზაცია, მაგალითად, ყველა წარმოების მონოპოლია და მანქანები, რომელიც ელექტრონს იმუშავებს, რაც შეიძლება მალე უნდა გადაეცეს ხალხს სოციალიზაცია არ უნდა შეეხოს პირადად ვინმეს კონფისკაციის სახით, ეს მხოლოდ გაართულებს სოციალიზაციის პროცესს და ზედმეტ მუშაობას გამოიწვევს.

გერმანიის სახალხო მთავრობას შვეციამ რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვების გამო მილოცვის დეპეშა გამოუგზავნა გერმანელებმა მილოცვის დეპეშაზე მადლობა გადაუხადეს შვეციის სოციალ-დემოკრატებს

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი, 24 ნოემბერი ც. ა. კ ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. ინგლისი ლონდონი, 22—11. გუშინ დაითხოვეს ინგლისის პარლამენტი, რომელიც 1910 წლიდან არსებობდა. ახალი არჩევნები დანიშნულია 14 დეკემბრისთვის. უკრაინის განთავისუფლება. 23 ნოემბერს დაჭერილ ადგილებში მეამბოხენი აარსებენ საბჭოებს. იამპოლი.. სოფ. მიხაილოვკაში აირჩიეს რევოლიუციონური კომიტეტი უნეჩა, 23—11. ქლობინიდან იუწყებიან, რომ რევოლიუციონურმა რაზმმა დაიჭირა ჟუჟ და გომელისკენ მიიწევს. უნეჩა. 23—11 გერმანულმა საბჭომ გაანთავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი. უკანასკნელთა ნაწილი, ყოფილ სამხედრო ტყვეებთან ერთად უკვე ჩამოვიდა საბჭ. წევრნი რუსეთში. განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმართა მატარებელი წითელი დროშებით იყო მორთული, ყოველ სადგურზე, მინსკიდან დაწყებული, მათ ეგებებოდენ გერმანელი ჯარისკაცები გაიდამაკელნი არ სჩანდენ. ვიტებსკი 23—11. პოლოცკიდან გერმანელების წასვლის წინ დღეს ბურჟუაზია გაქცევას შეეცადა, მაგრამ ახლათ შედგენილმა მილიციამ აიძულა ისინი დარჩენილიყვენ. ნაუენი 22 ნოემბერი. „ლოკალ ანცეიგერი“-ს ცნობით ლოძში გერმანელთა გარნიზონს ალყა შემოარტყა მცხოვრებლებმა. გერმანელ ჯარისკაცებმა ბრძოლით გაიკაფეს გზა და ფეხით გადავიდენ პოლონეთიდან გერმანიაში. ამ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იუწყება, რომ გენერალ გუბერნატორ ბლეზერმა და ოფიცრებმა დასტოვეს ჯარის კაცნი და ღამით გაიქცნენ. როცა პოლონეთის ლეგიონთა ოფიცრების განკარგულებით იარაღი გერმანელ ჯარისკაცებს აჰყარეს, უკანასკნელნი პოლონეთის ლეგიონებმა გაძარცვეს. ბერლინი, 22—11. ავსტრიის ნაციონალურ საბჭოს სხდომის დროს ქუჩაში დემონსტრაციები გაიმართა. როდესაც წაკითხეს ეს დადგენილება ავსტრიის ნაციონალურ რესპუბლიკად გამოცხადების და გერმანიასთან შეერთების შესახებ, დემონსტრანტების შეიარაღებულმა ნაწილი „ძირს ბურჟუაზია“, „გაუმარჯოს კომუნიზმ“-ის ყვირილით შეეცადა პარლამენტში ძალით შესვლას. გაისმა თოფის ხმა. ეროვნული პარლამენტის ყველა ოთახები დაიჭირეს. ეროვნულ საბჭოს წევრები დააპატიმრეს საღამოს შეიარაღებულმა რაზმმა დაიჭირა რედაქცია „ნეიე-ფრეიე-პრესე“ და გამოუშვა სასწრაფო დეპეშა, სადაც მოითხოვენ სოციალისტურ რესპუბლიკას. ნაუენი 22 ნოემბერი, გალიციის იმ ადგილებში სადაც უფლება ბურჟუაზიის, ან ბურჟუასთან შეთანხმებულ ძალების ხელშია. ებრაელთა დარბევა მოხდა. მცხოვრებნი გარბიან.

მოსკოვი, 24 ნოემ. ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული მილიცია და პოლონელების ლეგიონერები ვერ მოქმედობენ, ნაწილი თვით იღებს დარბევაში მონაწილეობას ზოგიერთ ქალაქში ებრაელებმა შეადგინეს დამცველი რაზმები, მაგრამ ლეგიონერებმა მათ იარაღი აყარა. გალიციაში მცხოვრები ებრაელები აღელვებული არიან. გერმანიის მთავრობა, მოკავშირე სახელმწიფოების ნოტაზე, რომ გერმანიის ჯარმა აუცილებლად უნდა დასცალოს პირობის მიხედვით პრიუნი, მერციგი, სარგემიუნცი, საარბრიუკენი და რეინის ოლქის ნაწილი, პროტესტს აცხადებს. ნაუენი, 22 ნოემ. ვილნოდან და ბელასტოკიდან ცნობაა, რომ მცხოვრებნი საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ გამოდის. გერმანელ დარაჯებს ხოცვენ და აფუჭებენ რკინის გზას, რათა ხელი შეუშალონ გერმანიის ეშელონების გავლას. ვიტებსკი, 22 ნოემ. რკინის გზებზე მიმოსვლა განახლდა. ჩვენ მიერ დაჭერილ ადგილებში მიმოსვლა წესიერად სწარმოებს. პოლტავა, 20 ნოემ. უკრაინის კომუნისტურ პარტიის პრეზიდიუმმა შემდეგი შინაარსის მიმართვა გაგზავნა ბერლინში: „მოგაგონებთ, რომ გერმანელების შემოსვლამდე უკრაინაში, ისე როგორც რუსეთში არსებობდა საბჭოთა მთავრობა, მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომლისათვისაც ახლა იბრძვიან გერმანიის მუშები და ჯარისკაცები. გერმანიის იმპერიალიზმმა, წესიერების აღდგენის სახით, მოსპო საბჭოები და გადასცა ძალა-უფლება ჯერ ცენტრალურ რადას, შემდეგ კი გეტმანს. გერმანელთა ხიშტების საშუალებით მემამულეებმა დაიბრუნეს მიწა, გაუქმდა 8 საათის სამუშაო დღე, ქარხნები, მაღაროები და ბანკები კაპიტალისტებს დაუბრუნდა. რამოდენიმე ასი ათასი მუშა და გლეხი გაცარცული, დატანჯული და დახოცილია. ჩვენ ვეკითხებით, როგორია გერმანიის ახალი მთავრობის პოლიტიკა უკრაინის მიმართ ახლა, როცა მილიტარიზმის პოლიტიკას ბერლინის საბჭო გაუქმებულად სთვლის. წერილში აღნიშნულია, რომ უკრაინაში მოსულ ცნობების თანახმად, გერმანიის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობასა და მოკავშირეთა შორის ხელშეკრულებაა, რომლის ძალით სიმშვიდის და წესიერების დასაცავად, ე. ი. მემამულეთა დასაცავად

„ახალი დასი“

ნოემბრის 18 „ახალმა დასმა“ ასწია ფარდა და თამამად წარმოსდგა ჩვენი თეატრის მოტრფიალეთა მსჯავრის წინაშე.

იმ დროს, როდესაც საქართველო უფლებრივ ქვეყანად შეიმოსა და ყველაფერი ქართული ეროვნული სადღესასწაულოდ გვირგვინობს, მხოლოდ ქართული თეატრი ჩამორჩა ამ სანეტარო ზეიმს და გლოვას ლეჩაქით პირმობურული დავიწყების კუნჭულში მოჩქმალულიყო.

უკან დარჩენილ ორმოცი წლის ასავალ-დასავალზე, როდესაც ყოველივე ქართული ბედის ქარტეხილით ვერანდებოდა, მხოლოდ ერთი ქართული თეატრი აღმართულიყო ეროვნულ ტაძრად, უწმიდეს ტაძრად. იქ ვიხდიდით ჩვენ დღესასწაულს, იქ ვგლოვობდით. ყველგან უცხოო, სხვათა ქურქმცმელი—იქ ვქართველობდით.

ეს ჩვენი თეატრი იყო, საიდანაც გვესმოდა კიდევ გულის ფანცქალით ქართული სიტყვა, იგი იყო ის ძალოვანი მუსიკა, რომელიც გვაერთებდა მამა პაპათა სიგმირესთან, წარსულთა დროთა სიდიადესთან ის იყო ის ჯადოსნური ხიდი, რომელიც ამ საზარელ აწმყოდან გადაგვიყვანდა საზღაპრო მომავალში, სადაც ყველანი ისევ ქართველურად განვინათლებოდით.

და თუ ეს არა, მაშინ იგი იქცეოდა იმ ძნელად დასათრგუნ სიმაგრედ რომელზედაც უკანასკნელად იფრიალებდა დანაწამები ქართული დროშა.

იგი იქნებოდა უკანასკნელი ნანგრევი აოხრებულის საქართველოსი.

უცხოთა ქვეყნებში არც ერთ თეატრს არ გაუწევია ესოდენ აღურიცხველი სამსახური ერისთვის, როგორც ჩვენსას. თუმცა იგი პატარა იყო და ღატაკი, როგორც ტაძარი ხელოვნებისა, მაგრამ იგი სათუთად ინახავდა თავის გულში ერის სულს, იმის ლოცვას, ნატვრას, გოდებას და ამით იგი იყო დიდი, დიდი, განუზომელი...

მაგრამ რა დაჰკრა ზარმა, გადაიხსნა ბედის ცა, საქართველომ ხელთ აილო თავისი სკიპტრა და ქართულმა თეატრმაც შეასრულა თავისი ეროვნული—მოქალაქეობრივი მოვალეობა.

შემდეგ კი იგი უნდა მისცემოდა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-მხატვრული დანიშნულების შესრულებას.

მაგრამ რას ვხედავთ: იმის მაგიერ, რომ მას ფერადოვანის შემოქმედებით განემშვენიერებინა მოდღესასწაულე სახე თავისუფალის საქართველოსი, იგი სულ დადუმდა.

ქართული თეატრი უცნაურად გამოსწყდა საერთო ეროვნულ ბედნიერებიდგან და აღარ გვესმოდა იმისი ხმა განახლების დიად საგალობელთა შორის.

მსოფლიო სვე-ბედის ბრუნვათა შორის, ომის ქარტეხილით ფიქრწაღებულნი, ჩვენი ცხოვრების მოულოდნელ გარდაქმნათა მსვლელობით დამთვრალნი, მრავალის სიხარულითა და მზრუნველობით გატაცებულნი, ჩვენ როგორც საზოგადოება, თითქოს აღარცა ვფიქრობდით ქართულ თეატრზე. მიგვავიწყდა მისი არსებობა, მისი აუცილებლობა, მაგრამ ცალკეთ კი მრავალი სწუხდა მის ბედ-იღბალზედ და გულის ტკივილით შესჩერებოდა მის მდუმარებას

აქამდის რომ ჩუმად ყოფილიყო, ეხლა უნდა ამეტყველებულიყო. და აქამდის მომეტყველე კი ეხლა ჩაჩუმდა.

ჩვენს დედა-ქალაქში, როდესაც განცხადების სვეტები გარშემორტყმულიყვენ უშველებელის რუსულისა და სომხურის ნაბეჭდით—ქართულ თეატრის განცხადება არსადა სჩანდა.

მაგრამ ამ სიჩუმეში ერთი ჯგუფი მაინც მუშაობდა თურმე სიბეჯითითა და ერთგულობით იარაღმოსილი. და კარგა ხან ლოდინის შემდეგ აგერ უკვე ჩვენს წინ სდგას ეს ჯგუფი „ახალ დასად“ წოდებული და მოითხოვს მიუდგომელ მსჯავრს.

ქართულ წარმოდგენას დანატრულებული ხალხი უხვად ედინებოდა სახელმწიფო თეატრს, მაგრამ ყველაზედ მეტად კიდევ სჭარბობდა ცნობის-მოყვარეობა, რომ ეხილათ ის ძალა, რომელიც პირველად ასმენს თავის შემოქმედებით ხმას ქართველ საზოგადოებას.

თუ ღელავდნენ დასის სულის ჩამდგმელნი, არა ნაკლებ ღელავდა თვით საზოგადოება მათ შესახვედრად.

ორი მოქმედების შემდეგ ყველას ნეტარება აღბეჭდოდა სახეზე და თუ შემდეგში მცირეოდენად შეირყა ეს გულთა მპყრობელი სიამოვნება—ეს უფრო პიესის გაჭიანურებას მიეწერება.

მაგრამ მე აქ არც პიესას ვარჩევ, არც კერძოდ მსახიობების თამაშს პიესაში. ეს მიმოხილვის საქმეა.

მე მწყურის მივაქციო ყურადღება მხოლოდ იმ მხარეს, რაც ყველა პიესაში იქნება აუცილებელი.

ესე იგი ანგარიშ გასაწევია თუ არა ეს ახალი დასი? შესწევს თუ არა უნარი მუშაობისა? ღირსი არის თუ არა იგი ჩვენის ნდობისა?

ვინც გულმოდგინედ უცქერდა „სარწმუნოებას“, თუ მას ქინი ალაპარაკებს, ყველა ამ კითხვებზე ერთად-ერთი პასუხი იქნება მხოლოდ „დიახ!“

თავიდან ბოლომდის სწორე ხაზად გადაჰყვებოდა თამაშს სიმტკიცე და ერთსულოვნება

ყველგანა სჩანდა სიბეჯითე, სიყვარული, დაკვირვება საქმისა, რომელიც შეიძლება უფრო უმაღლესად განვითარდეს კიდევ მომავლისთვის.

დასს მკაფიოდ აზის ბეჭედი ახალგაზრდობისა და სიახლისა, როგორც თავისის მრავლის აღმთქმელ ღირსებით, ისე მის ჩქარ-აღმოსაფხვრელ ნაკლითაც და მათი ძალ-ღონე, იმედია, გადაჰლახავს დაბრკოლებას დაბრკოლებაზე და განახლებულ საქართველოს ძვირფას საჩუქრად მიუძღვნის განახლებულ თეატრსაც.

შეიძლება ზოგიერთმა ერთის ნაკლით მრავალი ღირსება ჩაჩქმალოს მათი, მაგრამ ვგონებ თვითონ „ახალი დასის“ მესვეურნიც კარგად დაინახავენ ყოველ ნაკლს. მათ ეჭირვებოდათ. სარკე. დღეს ჩაიხედეს ამ სარკეში, საზოგადოებაში და დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ, ამის შემდეგ უფრო საკადრისად შეამკობენ თავიანთ სახეს.

როგორც აღვნიშნე ზევით, მე რეცენზიას არა ვწერ და ამიტომ არც ვეხები ცალკ-ცალკე მსახიობთა თამაშს მე ვსწერ საერთო მოსაზრებათ, უფრო კი შთაბეჭდილებათ, რომელიც წარმოიშვა პირველი წარმოდგენის შემდეგ და სწორედ ამ მოსაზრებით არ შემიძლიან ყურადღება არ მივაქციო ქ-ნ ანჯაფარიძეს.

იმისდა მიხედვით—თუ როგორ ითამაშა მან „სარწმუნოებაში“ იგი სათუთ ქმნილებად ჩაითვლება მომავალ ქართულ თეატრ ისთვის.

იგი ყველას მოეწონა. მაგრამ მე არავის საძრახისად არ ვამბობ, ვინც საკადრისად არ იცნობს ეგვიპტურ ხელოვნებას, მათ შემოქმედებს, ვინც არ ჩასწვდომია სულს მათისა განსაკუთრებისას, იგი ვერც იცნობს სავსებით ღირსეულობას იმ ნიჭისას, რომელიც პირველად ვიხილეთ ჩვენს სცენაზედ.

იგი ნაკვეთით ნაკვეთამდე განსხვავება იყო ეგვიპტურის ჰანგისა. უბრალო თითის გაშლითაც კი არ შეურხევია თავისებური სული ეგვიპტურ ქმნილებათა. მისი ყოველი ფეხის გადადგმაში ხაიერდებოდა ამოუწერელი საიდუმლოება იმ ქვეყნისა. მისი მორჩილი ტანი პირამიდულის სიმძიმითა და სადაობით მიმოძრაობდა. მისი თვალები მხოლოდ ნილოსის შორს წასულობას და სიდიდეს გაჰმოხატავენ, რომელთაც ერთის წუთითაც არა სცალიათ ყვავილებზეც ან გარემოზედ სიცელქით გადასახედათ, თუნდაც შეცდომით მის ხმაში ისმოდა საუკუნოებრივი ხანგრძლივობა ეგვიპტელის ერისა. იგი იყო სრულქმნილი ღირებულობა ეგვიპტის ღმერთთა, პირამიდთა, მის საიდუმლოებათა და საუკუნეთა.

მას ჰქონია განა მარტო ნიჭი არამედ საზრისი და უნარიც თავის საგნის შესწავლისა და შესისხორცებისა.

ტაშს არ ვუკრავდი, მაგრამ გულში კი სულ „ვაშას“ ვუძახდი, რომ ქართველ ქალთა შორის შესაძლებელი ყოფილა მოიპოვებოდეს ესეთი დაკვირვებული ხელოვანი და, ბოლოს „ახალმა დასმა“ მრავალი იმედი აღგვიძრა. დარწმუნებული ვართ, რომ იგი შეეცდება გადაჰლახოს ყოველგვარი დაბრკოლება და გაამართლოს ჩვენი მოლოდინი ქართული თეატრის განახლებაზედ.

ლევ. მეტრეველი.

გერმანიის ჯარი, ინგლისის და ამერიკის ჯარის მოსვლამდე, უკრაინაში უნ და დარჩეს. უპასუხოს გერმანიის მთავრობამ უკრაინის მუშებს და გლეხებს, ვინ არის გერმანიის ახალ მთავრობაში, მოკავშირენი, თუ ისეთივე მტერი, როგორც იყო კაიზერის მთავრობა. მოკავშირენი უკრაინაზე მოდიან. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, აზრადა გაქვთ თქვენ უკრაინის გლეხთა და მუშათა ღალატი და ეხმარებით ინგლის ამერიკის მუშათა და გლეხთა განადგურებაში, თუ ჩვენთან ერთად გინდათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

მოსკოვი, ნოემბრის 23. 16 დეკემბრისთვის მოსკოვში მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის სამიწადმომქმედო განყოფილებათა ყრილობა. მთავარი საკითხებია: ზომების მიღება სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად და მიწის დამუშავების საქმის საზოგადოების ხელში გადაცემა.

ახალი ამბავი

ფულის გატაცებისათვის. ადერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს, მიიღოს ზომები ვინმე შილონ კაჩებრის დასატუსაღებლად, რომელმაც აგვისტოში გაიტაცა 24000 მანეთი ადერბეიჯანის სახელმწიფო ფული.

სახოფლო კომისიაში. ნოემბრის 21 სასოფლო კომისიამ მოიწვია ყველა სოფლებში მომუშავეთა თათბირი. თათბირმა მოისმინა კომისიის მოხსენება და სხვათა შორის გადასწყვიტა, გამოიცეს საგლეხო ჟურნალი, გაიხსნას სოფლად სამკითხველოები და სხვა.

დატუსაღება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ ქ. სიღნაღში დაატუსაღეს ს. ჩუმლაყის სახელმწიფო სენერგეს გამგის ნაკაშიძის გამძარცველი.

სამხედრო ტყვეები ამ დღეებში ავსტრო-უნგრეთიდან ტფილისში ჩამოვიდა 860 სომეხი სამხედრო ტყვე, რომელთა შორისაც რამოდენიმე ქართველიცაა.

განათლების მინისტრის ცირკულიარი. სახალხო განათლების მინისტრმა ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც მინისტრი ავალებს დააჩქარონ სასწავლებლებში სამეურნეო ნაწილთა კომიტეტების რევიზია და შედეგები ძოახსენონ განათლების მინისტრს.

სამღვთო სჯულის სწავლება. სახალხო განათლების მინისტრმა სასწავლებლებს დაუგზავნა ცირკულიარი სადაც ნათქვამია, რომ სასწავლებლებში ამიერიდან სარწმუნოების სჯულის სწავლება უქმდება.

ბარგის მიღების აკრძალვა. კახეთის რკინის გზის უფროსმა გზათა სამინისტროს აცნობა, რომ შეშის უქონლობის გამო კახეთის რკინის გზაზე ყოველგვარი ბარგის მიღება მოისპობა, გარდა სამხედრო ბარგისა.

ნავთი. გზათა მინისტრმა საგარეო საქმეთა მინისტრს ტელეფონოგრამით აცნობა, რომ ამ ჟამად სადგურ აქსტაფაში სდგას სამი მატარებელი ნავთითა და მაზუთით დატვირთული და, რადგან ჩვენ ნავთი არა გვაქვს, გთხოვთ ილაპარაკოთ ადერბეიჯანის წარმომადგენელთან, რათა ეს ნავთეული ჩვენ დაგვითმოს.

ობ. ლ. ბავშვები. მახლისიდან სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ, რომ იქ შეუგროვებიათ ლტოლვილთა ობლები, რიცხვით 600 ბავშვი.

ქურდობა. ნოემბრის 23-ს ღამით, ეკატერინეს ქუჩაზე ლ. მარკუსის ბინიდან ქურდებმა მოიპარეს 4,700 მანეთად ღირებული სხვა და სხვა ნივთები.

თავის დახრჩობა. ნოემბრის 23-ს დღისით ნიკოლაევის ხიდიდან მტკვარში გადავარდა უცნობი ქალი და თავი დაიხრჩო. გვამი გამოიტანეს და მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

თოვლი. ნოემბრის 24 და 25 ტფილისში თოვლი მოვიდა.

ლექციები. დღეს, ნოემბრის 26 საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექციები: 1) ექ. მაისურაძისა. „ანატომია", 2) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა".

სატყეო კურსები. პროფ. ქურდიანის ინიციატორობით დაარსდა სატყეო კურსები 3 თვიან ვადით. კურსები ოქტომბრის 1 გაიხსნა. კურსისტები პროფ. ქურდიანიანის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ პრაქტიკულ მუშაობას ბორჯომში, საიდანაც ისინი ამ დღეებში დაბრუნდნენ. დეკემბრის შუა რიცხვებში კურსისტები დაასრულებენ კურსებს ასე რომ 30—40 კაცამდე ახალი ძალა მიემატება ამ საზოგადო საქმის საწარმოებლად.

სატყეო განყოფილება ქართ. უნივერსიტეტთან. პროფ. ქურდიანის აზრით უნივერსიტეტთან დაარსებულ უნდა იქმნას სატყეო განყოფილება.

თხოვნა მოსკოვიდან ჩამოსულებს. მოსკოვიდან ჩამოსულ სამოც კაცს სთხოვენ თუ ვინმე რამე იცის მოსკოვში მყოფ ანნა ილიას ასულ ჩხეიძისა— შეგვატყობინონ „სახალხო საქმის" რედაქციაში.

დაზარალებულთა თხოვნები. სამინისტროს დირექტორმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ამ ბოლო დროს აუარებელი თხოვნები შემოდის კერძო პირთა და დაწესებულებათაგან ქონების განადგურების შესახებ სხვა და სხვა რაიონში, არეულების და ბოლშევიკურ გამოსვლის გამო. პატრონები ამ ქონებისა სთხოვენ დახმარებას. ამ საკითხის პრინციპიალურ მნიშვნელობის გამო, რომელიც მთავრობის გადასაწყვეტ საკითხად უნდა ჩაითვალოს სამინისტროს დირექტორი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი". დღეს, სამშაბათს ნოემბრის 26 წარმოდგენილი იქნება, „რაც გინახავს, ველარ ნახავ" ელ. ჩერქეზიშვილის მო, ნაწილეობით—ბილეთების ფასი სახალხოა—24 ნოემბრისთვის აღებული ბილეთები გამოდგება—ამ წარმოდგენისათვის.

დასჯა ტყის გაჩეხისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ბორჯომის რაიონის მცხოვრებნი ვანო ჩაჩანიძე, ვანო და სანდრო ბლიაძე, სოსო ნანაძე, ლევან გოგოლაძე, გორა გელაშვილი, კოტე სალაყაია, ნიკო და პეტრე გელაშვილი, სიხო ხაჩიძე, მიხა ყურმაშვილი, სოლო გოგოლაძე, ლადო ვეფხიაშვილი, ივანე გოგიჩაიშვილი, დავით და მაქსიმ სალარიძე, სახელმწიფო ტყის თავის ნებით გაჩეხისთვის დაპატიმრებულ იქმნენ ტფილისის საგუბერნიო ციხეში და ეცნობოს მათი საქმე მიწათ-მოქმედების მინისტრს საქმის შემდეგ მიმართულების მისაცემად.

უკრაინის საელჩოს თხოვნა. უკრაინის საელჩომ შუამდგომლობა აღძრა საგარეო სამინისტროს წინაშე, რომ საქართველოს საზღვრებით ფოთისკენ მიმავალ უკრაინის ქვეშევრდომთ „ტრანზიტეიით" გასვლის ნება მიეცეთ. საგარეო სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გაუგზავნა დასასკვნელად შინაგან საქმეთა სამინისტროს.

კრება. ოთხშაბათს, ნოემბრის 27 საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა, 11, შესდგება ქართულ სატეხნიკო საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. პ. მაძრაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „კანონი სამელიორაციო ამხანაგობებზე."

„სევერნი კავკაზ". ტფილისში კვირას, ნოემბრის 24 გამოვიდა კავკასიის მთიელთა კავშირის გაზეთი „სევერნი კავკაზ" ჯემალ-ედდინ-ალბოგაჩის რედაქტორობით. ეს გაზეთი ორგანოა მთიელთა კავშირის რესპუბლიკისა, რომლის მთავრობაც თემირხან-შურაშია. გაზეთში დაბეჭდილია მთელ პირველ გვერდზე მოწოდება ამ მთავრობისა გლეხების, მთიელების, მუშების, ყაზახების და ინტელიგენციისადმი: მოიშორეთ ბოლშევიკები და შემოკრბით თქვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკანური მთავრობის გარშემო.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

სოც.-ფედ. მუშათა კავშირის კრება. დღეს, ნოემბრის 26-ს საღამოს 7 საათზე გაზ. „სოც. ფედერალისტის" ბინაზე პარტიულ ბიუროში დანიშნულია მუშათა კავშირის კრება. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ, ვინაიდან ფრიად საჭირო საკითხებია გადასაწყვეტი.

—

ამხ. ალექს. წერეთლის მოხსენება. ოთხშაბათს, ნოემბრის 27-ს პარტიულ კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საზოგადო კრება. პარლამენტის წევრი ამხ. ალექს. წერეთელი წაიკითხავს მოხსენებას ინგლისსა და საქართველოს შესახებ.

—

ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი. დღეს, 26 ნოემბერს დანიშნულია ტფილის საგუბერნიო კომიტეტის პრეზიდიუმის კრება. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

სამხედრო წესები თელავის მაზრაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება № 47.

ვინაიდან ყაჩაღობამ თელავის მაზრაში თავის თავხედობითა და გავრცელებით. ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო შეიქმნა არა ჩვეულებრივი ზომების მიღება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთელ თელავის მაზრას აცხადებს სამხედრო წესზე მყოფად.

გენერალ გუბერნატორად დროებით ინიშნება ტფილისის გუბერნიის კომისარი ძაღლაკელიძე, რომელსაც დაექვემდებარება თელავის მაზრის ყველა სამხედრო და საადმინისტრაციო ძალები ყაჩაღებთან საბრძოლველად.

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

მთავრობის საქმეთა მმართველი **ჯაფარიძე.**

განათლების სამინისტროს საყურადღებოდ

რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა არსებული წესწყობილება და როგორც მოსალოდნელი იყო, მოსპო ყოველგვარი წოდებრივი პრივილეგიები და ყველა სწორ უფლებიან მოქალაქეთ აღიარება; მაგრამ, როდესაც ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოები გართულნი არიან პირველ ხარისხოვან საკითხების მოგვარეებით, წვრილმანები გაუთვალისწინებელი რჩებათ, თუმცა ამ წვრილმანების გამო ბევრი უსიამოვნება ხდება სოფლად უკვე გაუქმებულ წოდებათა შორის. აღვნიშნავ ერთ ამგვარ მაგალითს, რომელიც განათლების სამინისტროს ეხება.

ერთ სოფელში შევნიშნე გზაში რამოდენიმე ატირებული ბავშვი, შვილები ადგილობრივ ყოფილი აზნაურებისა. როდესაც გამოვკითხე მწუხარების მიზეზი, შემდეგი გამოირკვა. მოგეხსენებათ, თავად-აზნაურობას არ აქვთ მიღებული ორხაწილეობა სოფლის სკოლების ამენება-შენახვაში, რადგანაც ძველი კანონი ამის წინააღმდეგი იყო, მხოლოდ, თუ ვინმე აზნაურთაგანი მოისურვებდა ბავშვის მიბარებას, იხდიდა განაჩენით დაწესებულ ფულს, რომლის რაოდენობა არ აღემატებოდა 10 მან., მაგრამ ეხლა შეკრებილა სკოლის „კომიტეტი". ეს ფული უკვეთავეჯია და მის მაგიერ დაუდგენია 100 მან., რის გადახდაც შეუძლებელია ღარიბი კაცისთვის. არც ჩემი მიმართულება, არც მთავრობამ გამოცემული მიიმყავს გამოვესარჩლო გაუქმებულ წოდებას, მაგრამ ჩემის აზრით, ეს ხალდვილი როტესტოლური ფსიხოლოგია არის და განათლების სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა გამოსცეს განკარგულება რათა ყველას ერთნაირად ადეოოდეს სახალხო სკოლებში სწავლის ფული, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდეს უფასო პირველ-დაწყებით სწავლის შემოღება და ამით იყოს გარჩევა წოდების მიხედვით, რათა ყველამ იგრძნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შესდგება მხოლოდ მოქალაქეთაგან.

ხ. ბუაჩიძე.

თეატრი და ხელოვნება

„სარწმუნოება"

ნოემბრის 22 სახელმწიფო თეატრში მეორედ დასდგეს ბრიეს პიესა „სარწმუნოება". ჩვენს გაზეთში პრესასა და ზოგიერთ მოთამაშეებზე უკვე იყო ვრცელი წერილი დაბეჭდილი და აქ მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ შთაბეჭდილებას, რადგან ანსამბლი ოდნავ შეცვლილი იყო.

„სარწმუნოება" შინაარსით ვერ არის, მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი. იგი ადგილ ადგილ ძლიერ შაბლონურიცაა და უკვე ყველასათვის მოყირჭებულ მიტინგს მოგვაგონებს. აღსანიშნავია, რომ რეჟისორს უკვე შეუმჩნევია პიესის გაჭიანურება და მეორედ დადგმის დროს იგი ოდნავ შეუმოკლებია. ამ შემთხვევაში ეს მოსაწონია, ვინაიდან მთლიანობა პიესისა არ დარღვეულა.

რა იშვიათი ანსამბლით ითამაშეს ჩვენმა ახალგაზდა არტისტებმა ეს პიესა! ასეთი ხმა შეწყობილი თამაში ქართულ სცენაზე თითქმის პირველად არის და ეს საუკეთესო ნიშანია ჩვენი თეატრის წინსვლისა და განახლების გზაზე დადგომისა ქართველი არტისტების ჩვეულებრივ გაჭირვების ტალ-კვესის— სუფლიორის არსებობა ხომ მთლად დაგვავიწყდა, ესეც დიდი პროგრესია.

ახლებში აღსანიშნავია ანჯაფარიძის ასული, რომელსაც უტყუარი დიდი ნიჭი აქვს. წინად იგი ვრცლად დავახასიათეთ და ეხლა გვინდა მხოლოდ იმათ შევეხოთ, ვინც ახალ როლში გამოვიდა.

ქ-ნ ც. ამირეჯიბისას ჩვენ ვიცნობთ იგი ამ საღამოს მიერისის როლს ასრულებდა და შესაფერისადაც განასახიერა განგებისაგან სასტიკად დასჯილი ადამიანის ტანჯვა-ვაება. ამ მსახიობს ხელს უწყობს შესაფერისი სასცენო გარეგნობა და შვენიერი დიქცია. პირველიც და მეორეც, სამწუხაროდ ზოგიერთს ახალგაზრდა არტისტს აკლია. როგორც ეტყობა, ქ-ნ ამირეჯიბს შრომის უნარიც დიდი ჰქონია და ეს იმედს გვაძლევს, რომ იგი სასარგებლო და თვალსაჩინო ძალად გახდება ქართულ თეატრისათვის.

ბ. გელოვანის როლს (სათნი) ამ ღამეს ბ-ნი ქიაურელი ასრულებდა. ესეც ნაცნობია და უნდა ითქვას რომ მას დიდი მომავალი აქვს. მან თავის ნიჭით სძლია ბევრი სიყალბე თავის როლისა (რომელიც ავტორის ბრალია) და თვალ-წინ დაგვიყენა ახალი იდეების და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი ახალგაზდა. ბ-ნ ქიაურელს სუსტი აგებულება ერთნაირ ნაკლს რომ არ წარმოადგენდეს ამ შემთხვევაში, იგი შეუდარებელი სათნი იქნებოდა.

დანარჩენებზე რისამე თქმა განმეორება იქნებოდა. წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილისა. ერთი რამ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, ბრბო ვერა ჰგავს ნამდვილ ბრბოს. გარდა ამისა, ზოგიერთი მონაწილენი (მონები) აპარბებენ და სრულ იდიოტებს გვიხატავენ. მართალია მათი მდგომარეობა არც თუ ისე მაღალი იყო, მაგრამ შემდეგში რომ მეტს ადამიანობას და ბუნებრიობას შეიტანდნენ თამაშობაში—კარგი იქნებოდა.

ხალხი ამ ჟამად შედარებით ცოტა დაესწრო. ვიმეორებთ, პიესას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მაინც სასცენოა და მისი ნახვა ჰღირს თუნდ იმ იშვიათის ანსამბლისათვის, ზემოდ რომ მოვიხსენიეთ. ბევრი რამ შესძლებია შრომასა და მუყაითობას!

გამომცემელი სამხოუ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ზ. ა. მიძლაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქალი რ. ა. შიოლო.ხახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ვლინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგრძ. ქარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—76. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) დებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლაზის ქუჩა № 7 სიმენოვის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ბლეკისა. სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. ... დიდის ქ. № 26. ტელ. 6—36.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი ვენერიული და შარდსასქესო სნეულებანი. სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნიუ" ბინა № 8. 90

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 ავჭალის აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ... დანოვის ქ. № 6.

თვალის სამკურნალო მუდმივი სამ... ლით ექიმ დონახიძისა რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონით მიიღებიან. 620

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლიმინბერგისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭლექისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ბ. ბ. მეგრაბიანცი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტიპით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92 საწყლებს ღებულობს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო ექ. ა. დ. ალექსიძის მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 21.8

ექიმ ნაგახარდიანის კერძო კბილთ სამკურნალო. (დაარსებულია 1880 წელს)

ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606" და „914" 11—12 ს.

ს. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ზ. აგასაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. აველიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. აველიხიანი 11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ... 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.

... ა. ნაგახარდიანი.